ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №564347

ნომერი: AR1112386

თარიღი : 27.02.2013

გაცემის თარიღი : 27.02.2013

გაცნობის თარიღი : 11.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის მე-10 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ჩინჩალაძე პ/ნ 10001008714
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. N 9 ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1112386 განაცხადის პასუხად გაცნობებთ: წარმოდგენელი მასალის განხილვის დროს დადგინდა, რომ განაცხადში გაურკვეველია მოთხოვნა, თუ რას გულისხმობთ მრავალფუნქციურ ნაგებობაში. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.034.191 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 2 (სზ–2)–ში რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0.5,
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=0.8,
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0.25.

აღნიშნულ ზონაში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ„ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4–13 გადაწყვეტილების დანართით (იხ. დანართი) განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა.

დანართში მოცემული სახეობებიდან ერთ–ერთის ამორჩევის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოსამზადებლად კონკრეტული მოთხოვნა უნდა ატვირთოთ Tas.ge–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 27 თებერვალს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 01 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 14 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი მასალა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

(დანართი: ერთი გვერდი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.